

ე. გ. მ. გ. ა

ე. გ. მ. გ. ა



ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის
უფლისი, და რომელნი ვლენან გზათა მისთა.—
ნაშრომი ნაყოფთა შენთა ჰქვიშო შენ, ნეტარ
იყო და კეთილი გეყოს შენ.—ცოლი შენი, ვი-
თარცა ვენახი მსხმო, კიდეთა სახლისა შენი-
სათა.—შვილნი შენნი, ვითარცა ახალ-ნერგნი
ზეთის-ხილისანი, გარემოს ტაბლისა შენისა.—
იპა ესერა ესრეთ იკურთხოს კაცი, რომელსა
ეშინოდეს უფლისი.

ფსალმუნი 127. 1—5.

შედგენილი მღვდლის წესტორ უუბანებაშვილის-მიერ.

გამოცემა მორჩილის რაჟდენ ბარამიძისა.

ტჲილისი

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა, ნიკ. 21.

1899



ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର

38829

ԱՅ-ԵՐԵՎԱՆԻ



Եթա՛ր արօան սովորելու, հոմելու յշնուն
սովորուսա, դա հոմելու զլցենան ցնուու մուտու.—
Եամին նայուուտու Մենու Ասքամու Մեն, Եթա՛ր
ուստ դա կը տուլու ցայտու Մեն.—Կուլու Մենու, զո-
տարցա զբնախու մեսմու, զուգուտու սաելուսա Մենո-
սուտու.—Մայունու Մենու, զրտահցա օթալ-Երշնո
Նետու-Ելուսանու, զարյամու Ծածլուսա Մենուսա.—
Օձա ցերու ցերու ուշուրտեմու կապու, հոմելուսա
յշնուռեւ լուլուսա.

Եսալմունո 127. 1—5.

Մայունու մայունուս նեստու ցայտանյու մայունուս-մոյր.


Ցամուրյա մռահիուս հայութ ծարամուսա.

ԺԿՈՒՄՈՒՆ

Սրամիւ թ. Շարամուս դա ամեանցունուսա, նոյ. 21.

1899

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го ноября, 1899 г.



ქ თ ლ - ქ მ რ ო ბ ა.

ცხოვრებაში შესაწევნელად და კაცთა ნათესა-
ობის განსაგრძობად კაცი და ქალი ირჩევს ერთი-მე-
ორეს, აღუთქვამენ ერთმანეთს ერთგულებას, იწ-
ყებენ ერთად ცხოვრებას და იწოდებიან ცოლ-ქმრად.
ქმარი და ცოლი ეწევა ერთ და იმავე ულელს —
ოჯახობას, შვილების აღზრდას და სხვ., ამიტომაც
ცოლ-ქმარი იწოდებიან კიდევ მეულლებად. ქრის-
ტიანულის წესით, კაცმა და ქალმა, რომელთაც
ერთი მეორე აღირჩიეს საუკუნო ამხანაგად და სურთ
იყვნენ მეულლებაზ, ჯვარი უნდა დაიწერონ. ჯვარ
დაუწერლობა სჯულის წინააღმდეგია. ცოლ-ქმრუ-
ლი კავშირის კურთხევა ღვთის ნებაა. პირველი ცოლ-
ქმარი ადამ და ევა აკურთხა თვითონ ღმერთმან სა-
მოთხეში: „და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველ-
მან: ალორძინდით და განმრავლდით, და ალავსეთ
ქვეყანა, და ეუფლენით მას“... (შექმ. 1, 28). შეგ-
დგომ ძველი ალთქმის მამათ-მთავარნი აკურთხევდნენ
ცოლ-ქმრულ კავშირს; მაგალითად, როცა ისააკმა
ვაჰგზავნა ძე თვისი იაკობი ცოლის შესართავად,
აკურთხა იგი და უთხრა: „ღმერთმან ჩემმან გაკურთ-

ხნენ შენ, და ოღალორძინენ შენ, და განგამრავ-
ლოს შენ“ (შექმ. 28, 3). ახალ-აღთქმაში თვით
იესო ქრისტემ კანას გალილიას ქორწილზე დასწრე-
ბით აკუთხა ცოლ-ქმრული კავშირი.

ცოლ-ქმრობა დაწესა თვით ღმერთმან. როცა
ღმერთმა შექმნა პირველი კაცი ადამ, „თქვა უფალ-
მან ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარ-
ტო, უქმნეთ მას შემწე მსგავსისაებრი“ (შექმ. 2,
18), და შეუქმნა მას შემწე მისივე გვერდისაგან და
მიუყვანა მას. ადამმა სთქვა: „ესე ძვალი ძვალთა
ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი, ამას ეწო-
დოს ცოლი, რამეთუ ქმრისა თვისისაგან გამოიყვანა
ესე (ღმერთმან), ამისთვის დაუტევოს კაცმან მამა
თვისი და დედა თვისი და შეეყოს (შეუერთდეს) ცოლსა
თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ-ხორც
(შექმ. 2, 23—24; ეფეს. 5, 30—32), ვითარმედ
არღარა არიან ორ, არამედ ერთ-ხორც; რომელნი
ღმერთმან შეაულლა, კაცი ნუ განაშორებნ“ (მარკ.
10. 6; მათ. 19, 4—6).

რაღვანაც ღვთის დადგენილია სჯულიერი ქორ-
წინება, ანუ სჯულიერი ცოლ-ქმრობა, ამიტომ ყო-
ველ ქრისტიანეს, ვისაც სურს, შეუძლიან იქორ-
წინოს. ამაზედ მოციქული პავლე სწერს: „კაცად-
კაცსა (თითოეულ კაცს) თვისი ცოლი ესვინ (ყვან-
დეს) და თვითეულსა ქალსა თვისი ქმარი ესვინ...
თუ იქორწინოს, ქორწილი არა სცოდა“ (1 კორ.
7, 2, 28). იგვე მოციქული სწერს: „პატიოსან

არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ” (ებ. 13, 4); მაგრამ ყოველ ქრისტიანეთა-თვის სავალდებულო კი არ არის ცოლ-ქმრობა: უკეთუ კაცს შეუძლიან უცოლოდ, ანუ ქალს უქმროდ წმიდად თავის დაცვა, შეუძლია სრულიად არ იქორწინოს, არ მოეკიდოს ცოლ-ქმრობას, ხოლო უკეთუ აქვს იგეთი მიზიდულება ცოლ-ქმრობისადმი, რომ უიმ-სოდ თავს წმიდად ვერ დაიცავს, უძჯობესია იქორწინოს. ამაზედ მოციქული პავლე სწერს: „ვეტყვი უქორწინებელთა მათ და ქვრივთა, კეთილ არს მათდა, უკეთუ ეგნენ (იყვნენ) ესრფთ, ვითარ-ცა მე (ე. ი. ქალწულად, უქორწინებლად); ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინედ, რამეთუ უმ-ჯობეს არს ქორწინება, ვიდრე განხეურვება“ (I კორინ. 7, 8; 1 ოიმოთ. 5, 14).

ქალწულად ცხოვრების გატარება მძიმე საქმეა და ყველას არ შეუძლიან ამ სიმძინის სამარის კარამდის მიტანა. ამის შესახებ თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყვა ესე, არამედ რომელთა მიცემულ არს“ (მათ. 19, 11), ესე იგი ყველას არ შეუძლიან ამ სიძნელის ატანა; შეუძლიან მხოლოდ იმას, რომელსაც ღვთი-საგან აქვს მიცემული ასეთი ნიჭი. ასეთი მტკიცე წარიათის კაცი ან ქალი მოღვაწეობს მხ. და ღვთის სასუფეველისათვის (მათ. 19, 12).

ცოლ-ქმართა მოვალეობა.

ქმარს უნდა ჰყავდეს ერთი ცოლი და ცოლს

ერთი ქმარი. ეს ცხადად სჩანს იქიდგან, რომ ლმერთმა ადამს ერთი ცოლი შეუქმნა (შექ. 2, 24). მოციქული პავლე სწერს, რომ კაცს თვისი ცოლი უნდა ჰყავდეს და ცოლს თვისი ქმარი (1 კორ. 7, 2), ცოლ-ქმარნი ვერ განიყრებიან სიკვდილამდის, თუ რომელიმე მათგანმა არ შეაგინა ცოლ-ქმრული კავშირი ე. ი. არ ისიძვა. „მე გეტყვი თქვენ, ბრძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რამეთუ ყოველმან, რომელმან განუტევოს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვისა სიძვისა, მან იმრუშა იგი: და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“ (მათ. 5 32; მარკ. 10, 11—12; ლუკ. 16, 18).

ქმარი ვალდებულია უყვარდეს თვისი ცოლი, პატივს სცემდეს მას, სცხოვრობდეს მასთან და ისე ზრუნავდეს იმისთვის, როგორც თავისთვის. ამის შესახებ მოციქული პავლე სწერს: „ქმართა გიყვარდენ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკკლესია... ესრეთ ჯერ არს ქმართა ცოლთა თვისთა სიყვარული, ვითარცა ხორცთა თვისთა; რამეთუ რომელსა უყვარს ცოლი თვისი, თავი თვისი უყვარს... თქვენცა. კაცად-კაცადმა თვისი ცოლი ეგრეთ შეიყვარეთ, ვითარცა თავი თვისი“ (ეფეს. 5, 25, 28, 33). იგივე მოციქული პავლე სწერს: „ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი და ნუ განმწარდებით მათდა მიმართ“ (კოლ. 3, 19). მოციქული პეტრე სწერს: „ქმარნი ეგრეთვე... ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა“ (1 პეტრ. 3, 7). სოლო-

მონ ბრძენი სწერს: „ცოლი შენი რათა წინა-გიძლოდეს შენ და რათა იყოს შენთანა ყოველსა უამსა შინა“ (იგავ. 5, 19). წინასწარმეტყველი მაღაქია სწერს: „ცოლსა სიჭაბუკისა შენისასა ნუ დაუტოვებ.“ (2, 15). მოციქული პავლე სწერს: „ქმარი ცოლსა ნუ დაუტოვებნ“ (1 კორ. 7, 11).

გაჭირვების დროს ქმარი უნდა ანუგეშებდეს ცოლსა თვისსა, როგორც სამოელის მამა ელვანა ანუგეშებდა თავისს ცოლს ანნას, უშვილობისაგან შეწუხებულს: „რქვა მას ელვანა ქმარმან მისმან: ანნა, რაი არს შენდა, რამეთუ სტირ, არა რახსა სჭამდა რახსათვის იცემ მკერდსა შენსა, არა ვარა მე უმჯობეს შენდა უფროს ათთა ძეთა?“ (1 ბეჭ. 1, 8). ეგრეთვე ცოლიც ვალდებულია, რომ უყვარდეს ქმარი თვისი და პატივს უნდა სცემდეს მას. ამაზედ მოციქული პავლე გვასწავლის: დედანი „ქმართ მოყვარე ყოფად“ (ტიტ. 2, 4), იგივე მოციქული სწერს: „ცოლსა ქმარი იგი თანანადებსა პატივსა მისცემდნენ, ეგრეცა ცოლი ქმარსა“ (1 კორ. 7, 3).

აგრეთვე ცოლი უნდა იყოს თავის ქმრის მორჩილი, ამიტომ რომ ქმარი თავის ცოლის უფალია; როცა ღმერთმან დასწყევლა ევა, ასე უბრძანა: „ქმარი გეუფლებოდის შენ“ (შექ. 3, 16). მოციქული პავლე სწერს: „თავ დედა-კაცისა არს ქმარი“ (1 კორ. 11, 3). იგივე მოციქული სწერს: „ვითარცა ეკკლესია დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოვლითავე“ (ეფე. 5. 24); იგი-

33 მოციქული გვასწავლის: „დედა-კაცი მდუშრიად (ჩუმად, მყუდროდ) ისწავებდინ ყოვლითა დამორჩილებითა, მოძღვრებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რათა იყოს იგი მყუდროებია“ (1 ტიმოთ. 2, 11—12). „დედანი თქვენი ეკკლესიასა შინა სდუმნედ“ (ჩუმად იყვნენ), რამეთუ არა ბრძანებულ არს მათდა სიტყვად, არამედ დამორჩილებად, ვითარცა სჯულიცა იტყვის“ (1 კორ. 14, 34). „ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა... ცოლსა ეშინოდეს ქმრისა“ (ეფეს. 5, 22, 33; კოლას. 3, 18, ტიტ. 2, 5). ეგრეთვე გვასწავლის მოციქული პეტრე (1 პეტ. 3, 1). ცოლ-ქმარნი უნდა იყვნენ ერთი-მეორის ერთგულნი, სხვას არ უნდა გაუზიარონ ცოლ-ქმრული სიყვარული, არ უნდა იმრუშონ და არ უნდა ისიძვონ. საღმრთო წერილი მრუშებას და სიძვას ხშირად გვიკრძალავს: „არა იმრუშო“ (20, 14; ლევიტ. 18, 20). მოციქული პავლე სწერს: „ევლტონეთ (გაექცეოდეთ) სიძვასა: ყოველი ცოდვა, რომელი ქმნეს კაცმან, გარეშე ხორცთა არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს, თვისთა მიმართ ხორცთა სცოდავს“ (1 კორ. 6, 18). თვით იქსო ქრისტე ბრძანებს: „გესმა, რამეთუ ითქვა: არა იმრუშო“ (მათ. 5, 27, 19, 8; ლუკ. 18, 20; რომ. 13, 9; იაკობ. 2, 11). მოციქული პავლე სწერს: „ცოლი თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ არს, არამედ ქმარი; ეგრეთცა და ქმარიცა თვისთა ხორცთა ზე-

და არა უფალ არს, არამედ ცოლი“ (I კორ. 7, 4). იგივე მოციქული პავლე სწერს: „ქმრის ცოლი დედა-კაცი სიკვდილადმდე ქმრისა შეკრულ არს სჯულითა, ხოლო უკეთუ მოკვდეს ქმარი იგი, განთავი-სუფლებულ არს იგი სჯულისა მისგან ქმრისა. აწ უკვე ცხოვრებასა ქმრისასა მემრუშედ ეწოდოს შე-თუეყოს ქმარსა სხვასა, ხოლო უკეთუ მოკვდეს ქმა-რი მისი, თავისუფალ არს იგი სჯულისა მისგან, რა-თა არა იყოს იგი მემრუშე, შეთუეყოს ქმარსა სხვაი-სა“, ესე იგი თუ მეორე ქმარს გაჰყვეს. (რომაელ. 7, 2–3; I კორ. 7, 39) ცოლ ქმარნი ვალდებუ-ლნი არიან ერიდონ თვალია-ბოროტებას და ცუდ გულის-თქმასაც. ამის შესახებ იქსო ქრისტე ბრძა-ნებს: „რომელი ხელვიდეს დედა-კაცა გულის თქმად მას, მუნკე იმრუშა გულსა შინა თვისსა“ (მათ. 5, 28). მოციქული პეტრე ცრუ წინასწარმეტყველთა და შოძლვართა შესახებ სწერს: „თვალნი ასხენ სავ-სენი მრუშებითა და დაუცხრომელითა ცოდვითა და აცდუნებენ სულთა დაუმტკიცებელთა“ (2 პეტრ. 2, 14). ცუდ გულის თქმას უნდა ერიდოს ყო-ველი კაცი და ეგრეთვე ცოლ-ქმარნიც, ამიტომ რომ, როგორც მრუშება, ეგრეთვე ყოველი ცო-დვა პირველად გულისაგან წარმოსდგება; ამის გა-მო ყოველი კაცი უნდა ეცადოს, რომ ბოროტე-ბამ არ შეიპყრას და გული წმიდა იქონიოს. რო-ცა დავით შეფე ამისთანა ცოდვაშა ჩავარდა, შემდე-გი სასინანულო ფსალმუნი წარმოსთქვა: „გული წმი-

და დაბადე ჩემთანა ღმერთო“ (ფსალ. 50, 10). სოლომონ ბრძენი გვასწავლის: „შვილო, რათა არა გძლევდეს შენ გულის თქმა“ (იგავ. 6, 25). თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „გულისაგან გამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტნი, კაცის-კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი“ (მათ. 15, 19; მარკ. 7, 21). სოლომონ ბრძენიც გვარიგებს, თუ როგორ უნდა ერიდოს კაცი ბოროტ-მეძავ დედა-კაცს და მასთან ყოფნას: „შვილო, რათა არა გძლევდეს შენ გულის თქმა სიკეთისა, ნუცა მოინადირები თვალითა შენითა, ნუცა რათა თანა წარიტაცები წამითა მისითა, რამეთუ სასყიდელი მეძვისა, რა ოდენ ერთისა პურისა, ხოლო დედა-კაცმან კაცთა პატიოსანთა სულნი მოინადრნის, გამოიკრის, თუ ვინ ცეცხლი წიაღთა შინა, ხოლო სამოსელი თვისი არა დაიწვას ოუ? ანუ ვინ ვალს ნაკვერცხალთა ზედა ცეცხლისათა, ხოლო ფერხნი არა მოიწვნას თუ? ეგრეთ რომელი შევიდეს დედა-კაცისა მიშართ ქმრის ცოლისა არა უტან-ჯველ იყოს, არცა ყოველი, რომელი შეეხოს მას“ (იგავ. 6, 25 — 29). მეორე ადგილს სოლომონ ბრძენი აღწერს მეძავ და ბოროტ დედა-კაცის ურცხვ მოქმედებას და გვეუბნება: „შვილო, დაიმარხენ სიტყვანი ჩემნი და დაიცვენ მცნებანი ჩემნი და სცხოვნდე... მეცნიერება მცნობელ ყავ შენდა, რათა დაგიცვას შენ დედა-კაცისაგან უცხოსა და ბოროტი-

სა“, შემდგომ აღწერს ბოროტ დედა-კაცის მოქმედებას. (იგავ. 7, 1—23).

სასჯელი სიძვა-მრუშებისათვის, ანუ ცოლ-ქმრული კავშირის დარღვევისათვის.

ვინც ცოლ-ქმრულ კავშირს არღვევს, ის მძიმე ცოდვაში ვარდება. ის პასუხის მგებელია თავის სულის, ხორცის და სინიდისის წინაშე, თავის მეუღლის, საზოგადოების და ღვთის წინაშე, ამიტომ რომ ის ბოროტ საქმით ავნებს თავის ხორცსა და სულს, მით ღალატობს თავისს მეუღლეს, ვნებას აძლევს საზოგადოებას და არღვევს ღვთის მცნებას. მოსეს სჯულით მეტრუშენი და შეძავნი სიკვდილით ისჯებოდნენ (იან. 8, 4—5), „კაცმან უკეთუ ვინმე იმრუშოს ქმრის ცოლისათანა, ანუ მრუშება ჰყოს ცოლისა, ანუ ვინ სიძვა ჰყოს ცოლისა მოყვისა თვისისასა სიკვდილით მოკვედინ. ორნივე შემცოდე არიან“... (ლევიტ. 20, 10. მეორ. სჯულ. 22, 22). „ყოველნი მრუშებელნი, ვითარცა თორნე მგზებარე, განლევად სიცხისა ალისა მიერ“ (გოსეს. წინასწ. 7, 4). იაკობ მოციქული სწერს: „მეძავნო და მემრუშენო! არა უწყითა, რამეთუ სიყვარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა? აწ უკვე რომელსა უნდეს შეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების“ (იაკობ. 4, 4).

მემრუშენი და მეძავნი მარტო ხორციელად როდი დაისჯებიან, არამედ სულიერადაც: ისინი წარი-

წყმედენ სულისა თვისსა, მოაკლდებიან სასუფეველსა და იქნებიან შთაგდებულნი ტბასა მას ცეცხლისასა. სოლომონ ბრძენი სწერს: „მემრუშემან ნაკლულევანებისა წილ გონებისათა წარწყმედა სულისა თვისისა მოატყვას“ (შეამთხვიოს) (ივავ. 6, 32). მოციქული პავლე სწერს: „მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“ (ებრ. 13, 4); იგივე მოციქული სწერს: „არცა მეძავთა, არცა მემრუშეთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ“ (კორ. 6, 9—1). იგივე მოციქული პავლე სწერს გალატელთა: „ცხად არიან საქმენი ხორციანი, რომელ არიან: სიძვანი, შრუშებანი, არა წმინდებანი, ბილწეპანი... ესე ვითარისა მოშქმედია სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ“ (5, 19—21; ეფე. 5, 5). ითანე ღვთისმეტყველი სწერს: „ურწმუნოთა, და ცოდვილთა, და საძაგელთა, და კაცის მკვლელთა, და მეძავთა... ნაწილი მათი იყოს ტბასა მას ცეცხლითა და წუნწუბეთა აღნთებულსა, რომელ არს სიკვდილი იგი მეორე“ (გამოც. 21, 8). ვინც კეთილი ადამიანია, ის ყოველთვის ერიდება ამ ცოდვას, მაგრამ ცოდვილნი და ბოროტნიკი მისდევენ მას : ამაზედ დავით წინასწარმეტყველი სწერს: „ცოდვილსა მას რქვა ღმერთმან... მეძავსათანა დავსდვი ნაწილი შენი“ (ფსალ. 49, 16—18). წინასწარმეტყველი იერემია სწერს ბოროტთა და ცოდვილთა შესახებ: „იმრუშებდეს და სახლებსა შინა მეძავთასა ისაღვუჩეს (იერ. 5, 7). მეორე ად-

გილს იგივე წინასწარმეტყველი ამბობს: „რომ ვინმემ
მომცეს მე უდაბნოში უკანასკნელი სადგური, დაუ-
ტეო ერი ჩემი და წავიდე მისგან, რამეთუ ყოველ-
ნი იმრუშებენ“ (იერ. 9, 2).

ეგეთი მძიმე და დამლუპველი ცოდვაა მრუშე-
ბა, ამიტომ ყოველი კაცი უნდა ერიდოს მას. ჩვენ
გვაქვს საშუალება ღვთისაგან მოცემული, რომელიც
დაგვიფარავს ამ ცოდვისაგან. ეს საშუალება არის
სიბრძნე ღვთისა და მცნებანი მისნი, გამოხატულნი
საღმრთო წერილში. ამის შესახებ სოლომონ ბრძე-
ნი სწერს: „სანთელ არს მცნება სჯულისა, და ნა-
თელ და გზა ცხოვრებისა, და მხილება და სწავლუ-
ლება, რომელმან დაგიცვას შენ დედა-კაცისაგან
ქმრის ცოლისა და დასმენისაგან ენისა უცხოსა“ (იგავ.
6, 23—24). იგივე სოლომონ ბრძენი გვაძლევს ამის
შესახებ მშვენიერ დარიგებას: „ნუ მიხედავ დედა-კა-
ცა ბოროტსა, რომეთუ თაფლი გარდამოსწვეთიან
ბაგეთაგან დედაკაცისა მეძავისა, რომელმან წუთ
ერთ დაატკბოს სასა შენი. ხოლო უკანასკნელ უმ-
წარეს ნაღვლისა პპოო და უმკვეთლეს უფროს მახ-
ვილისა ლესულისა ორპირისა... შორს ყავ მისგან
გზანი შენი და ნუ მიეახლები კართა მიმართ სახ-
ლისა მისისათა... რათა არა განძლნენ სხვანი შენი-
სა ძალისად და ნაშრომი შენი შევიდეს სახლსა ში-
ნა სხვათასა და ინანდე უკანასკნელსა ჰედა... და
სთქვა: ვითარ მოვიძულენ სწავლულება და არა ვის-
მინე ხმა მსწავლელისა ჩემისა და მოძღვარსა ჩემსა

არა მიუპყარ ყური ჩემი“ (იგავ. 5, 3, 4, 8, 13). იგივე სოლომონ ბრძენი გვასწავლის: „შვილი, ნუ მისცემ დედა-კაცთა სიმდიდრესა შენსა და შენსა გონებასა და ცხოვრებასა უკანასკნელსა შინა განზრახვასა“ (იგავ. 31, 3). მოციქული პავლე სწერს: „სიძვა და ყოველი არა წმინდება, გინა ანგარება (ვერცხლის მოყვარეობა) ნუღაცა სახელედებიან თქვენ შორის, ვითარცა შვენის წმიდათა“ (ეფეს. 5, 3). იგივე მოციქული სწერს: „მოაკვდინენით უკვე ასონი თქვენნი ქვეყანასა ზედა: სიძვა, არა წმინდება, ვნება, გულისთქმა ბოროტი და ანგარება, რომელ არს კერპთ მსახურება“ (კოლას. 3, 5). იგივე მოციქული პავლე სწერს: „ესე არს ნება ღვთასა... განშორებად თქვენდა სიძვისაგან“... (1 თესალ. 4, 4—5).

ც ლ ლ ი გ ე თ ი ლ ი.

ბეღნიერია ცხოვრებაში ის კაცი, რომელსაც შეხვდება ცოლად დედაკაცი კეთილი და მაღლიანი. ის ღვთისაგან დაჯილდოებულია, ამიტომ რომ კეთილი ცოლი არის მაღლი ღმრთისა, ნიჭი უფლისა; კეთილი ცოლი არის თავის ქმრისთვის ვვირგვინი კურთხევისა; იგი ახარებს ქმარსა თვისსა. კეთილ დედა-კაცის ქმარს გული თაშამი აქვს, ყოველ კეთილს საქმეს გაბედვით მოჰკიდებს ხელს, იცის, რომ მას ჰყავს შემწე კეთილი და ძვირფასი, რომელიც

ულელს გაუწევს მას ყოველ კეთილ საქმეში, გაამხნევებს და იმედს მისცემს გაჭირვების დროს; კეთილი დედა-კაცი აიტანს გასაჭირს და შეიშნობს ბედნიერებას; ის არ გაამპარტავნდება, თუ მდიდარი და შეძლებულია. კეთილი დედა-კაცი ტყუილ-უბრალოდ დროს არ დაჰკარგავს, არამედ ოჯახს უვლის, ხელ-საქმობს და გამრჯელია. კეთილი ცოლი ხელგაშლილია, სიძუნწე ეჯავრება, გულ-უხვია და თავის სიმდიდრისაგან განუზიარებს გაჭირვებულს და ხელ-მოკლე ადამიანს რამდენიმე ნაწილს. სოლომონ ბრძენი სწერს: „რომელმან ჰპოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ“ (იგავ. 18, 22). იგივე ბრძენი სწერს: „დედა-კაცი მხნე გვირგვინია ქმრისა“ (იგავ. 12, 4). „დედა-კაცი მხნე ვინ ჰპოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა, კადნიერ არს (თამამი არს) მის ზედა გული ქმრისა მისისა, რამეთუ იქმს ქმრისა თვისისა კეთილსა ყოველსა შინა ცხოვრებასა“ (იგავ. 31, 10—22). სოლომონ ბრძენივე სწერს: „დედათა ბრძენთა აღაშენნეს სახლი, ხოლო უგნურმან აღმოთხარა ხელითა თვისითა“ (იგავ. 14, 1). წიგნი ისო ზირაქისა მოგვითხრობს: „მადლი დედა-კაცისა ახარებს ქმარსა მისსა და ძვალთა მისთა განაპოხებს ხელოვნება მისი; ნიჭი უფლისა დედა-კაცი მდუმარე... მადლი მადლისა ზედა დედა-კაცი მორცხვედი“ (26, 16—18). „ნეტარ არს, რომელი ცხოვრებს ცოლისათანა მეცნიერისა“ (ზირაქ. 25, 11). „დე-

და-კაცისა კეთილისა სანატრელ არს ქმარი და რი-
ცხვი დღეთა მისთა მრჩობელ კეც (ორკეც). დედა-
კაცი კეთილი აზარებს ქმარსა თვისსა და წელთა მის-
თა აღავსებს მშვიდობითა. დედა-კაცი კეთილი ნა-
წილი კეთილისა, წილსა შინა მოშიშსა უფლისესა
მიეცეს“ (ზირ. 26, 1—3).

საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ კეთილი
დედა-კაცი თავისს ქვარს მოუპოვებს დიდებას და
იგი პატივისა და ქების ღირსია. ამის შესახებ სო-
ლომონ ბრძენი სწერს: „დიდებული იქმნების ბჭეა
შინა (შესაკრებელ ადგილზე—საზოგადოებაში) ქმა-
რი მისი“ — კეთილი დედა-კაცისა. (იგავ. 31, 23).
„დედა-კაცი მაღლიანი აღუდგინებს დიდებასა ქმარ-
სა“ (იგავ. 11, 16). „ქმარმანცა მისმან აქო იგი
(კეთილი დედა-კაცი)... დედა-კაცი გონიერი კურთ-
ხეულ არს, ხოლო მოშიშნი უფლისანი ამას რათა
აქებდნენ. მიეცით მას ნაყოფთაგან ბაგეთა მისთასა,
რათა იქებოდეს ბჭეთა ზედა ქმარი მისი“ (იგავ. 31,
30—32).

კეთილ დედა-კაცს, გამრჯელს, თავის ოჯახი-
სათვის მზრუნველს, ანუ მეოჯახეს, სიმღიღრის შემ-
ძენს და გლახაკთა მოწყალეს სოლომონ ბრძენი აღ-
წერს შემდგომი სახით: დედა-კაცმან კეთილმან „მო-
ივო მატყლი და სელი, ქმნა კეთილ სახმარი ხელი-
თა თვისითა. იქმნა, ვითარცა ნავი მოვაჭრე, მოქმე-
დი, შორით შეიკრიბოს თავისა თვისისა სიმღიღრე,
და აღდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლე-

ულთა და საქმე მხევალთა. მხილველმან აგარაკი (საყანე ანუ სავენახე ადგილი) მოიყიდა, ხოლო ნაყოფთაგან სელთა თვისთასა და მტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა; და იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ, და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ. მწყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ხელსა თვისსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთვალ. და ხელნი თვისნი განუხვნა გლახაკა, ხოლო ნაყოფნი მიუპყრა დავრდომილსა. არა ზრუნავს მყოფთათვის სახლსა შინა ქმარი მისი, ოდეს სადა ყოვნოს (საღმე დაიგვანოს), რამეთუ ყოველნი მისთანანი შემოსილ არიან, მრჩობლი სამოსელი უქმნა ქვარსა თვისსა, ხოლო ბისონისაგან და პორფირისა (სამეფო ტანისამოსია) თავისა თვისისა სამოსელი“ (იგავ. 31, 13—22).

საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ კეთილი ცოლი მოსაფერებელია, პატივსაცემია; ამაზედ სოლომონ ბრძენი სწერს: „რომელი განდევნის ცოლსა კეთილსა, განდევნის კეთილთა“ (იგავ. 18, 23). ისო ზირაქი სწერს: „ნუ განიშორებ დედა-კაცსა ბრძენსა და კერილსა, რამეთუ მადლი მისი უფროს აქროისა... არს თუ შენდა ცოლი სულისაებრ ნუ განაძებ მას“ (ზირაქ. 7, 21, 28).

ც დ დ რ ბ დ დ რ ტ ი .

საბრალოა და საცოდავი ის კაცი, რომელსაც შესვდება ცოლად დედა-კაცი ბოროტი. ის ბედისა-

გან მეტად დასჯილია, ცხოვრებაში მეტად შეწუხებულია, ოჯახში მუდამ აღშფოთებული, აღელვებული და მოუსვენარია, გული მუდამ უწუხს, რადკანაც ბოროტი ცოლის ენით მას გული დაკოდილი აქვს, ხშირად ერიდება ცოლთან ლაპარაკს, რჩევას და ყოველივე ოჯახის შესახებ საერთო საქმეს, რადგანაც ის თავის ცოლისაგან კეთილს არას გამოელის. ბედნიერებად მიაჩნია ოჯახიდგან საღმე წასვლა, რომ კოტა ხანს მაინც არ ხედავდეს თავის ცოლის საქციელს. ბოროტი ცოლის ქმარი ტოლამხანაგში და საზოგადოებაშიაც დარცხვენილია და გაცუდებული. ერთი სიტყვით, ბოროტი დედა-კაცის ქმარი ამ ქვეყნიერად ჯოჯოხეთშია. სოლომონ ბრძენი სწერს: „ვითარცა მღილი ძელსა, ეგრეთ წარწყმედს ქმარსა დედა-კაცი ბოროტის მოქმედი“ (იგავ. 12, 4). იყივე სოლომონი სწერს: „უმჯობეს არს ცხოვრება ქვეყანასა შინა უდაბნოსა, ვიღრე-ლა ცხოვრება დედა-კაცისათანა მოლალისა (კაპასი), და ენოვანისა, და მრისხანისა“ (იგავ. 21, 19). „უმჯობეს არს ყურესა შინა სართულისასა, ვიღრე-ლა სახლსა შინა საერთოსა დედა-კაცისათანა მაგინებელისა“ (იგავ. 25, 26). ივივე ბრძენი სწერს: „წვეთნი განსდევნის ჭაცა დღესა შინა ზამთრით სახლისაგან მისისა, ეგრეთ დედა-კაციცა მწყევარი თვისისაგან სახლისა“

(იგავ. 27, 15). კილევა სწერს: „სამთა მიერ შეიძვრის ქვეყანა, ხოლო მეოთხისა ვერ ძალუძს ტვირთვად: უკეთუ მონა გამეფდეს, და უგნური აღივსოს საჭილითა, და მხევალმან უკეთუ განსდევნოს დედოფალი თვისი, და დედა-კაცი საძაგელი უკეთუ მიხვდეს კაცსა კეთილსა“ (იგავ. 30, 21—23). ის, თუ რამდენად მძიმე და გასაჭირია ბოროტ დედა-კაცთან ცხოვრება, რამდენად აღემატების ყოველ ბოროტებას დედა კაცს სიბოროტე, როგორ დააღინებს და გულს უწყლავს ქმარს ბოროტი დედა-კაცი, ამას გამოგვიხატავს ჩვენ წიგნი ისო ზირაქისა: „უმჯობეს არს ცხოვრება ლომთათანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვრება დედა-კაცისა ბოროტისათანა. სიბოროტე დედა-კაცისა შესცვლის სახესა მისსა...მცირე არს ყოველი სიბოროტე, წინააღმდეგ სიბოროტესა დედა-კაცისასა.. ვითარცა აღსლვა ქვიშასა ზე-და ფერხითა მოხუცებულისათა, ეგრეთ დედა-კაცი წნოვანი ქმრისა მდუმარისა. ნუ შეუვრდები შვენებასა ზედა დედა-კაცისასა და დედა-კაცისასა გულის თქმათა შინა ნუ გსურის. რისხვა და ურცხვინოება და კდება დიდი დედა-კაცისა, უკეთუ ხელმწიფებს ქმარსა თვისსა. გული მდაბალი და პირი მჭმუნვარე და წყლულება გულისა დედა-კაცი ბოროტი... დედა-კაცისაგან დასაბამი ცოდვისა და მით მოვკვდებით

ყოველნი. ნუ მისცემ წყალსა განსავალსა, ნუცა დე-
და-კაცსა ბოროტსა კაღნიერებასა, თუ არა ვიღო-
ჩეს ხელსა ქვეშე შენსა, მოიკვეთე იგი ხორცისაგან
შენისა.« (ზირაქ. 25, 18—29). ისო ზირაქი კიდევ
სწერს, რომ ბოროტ დედა-კაცს უნდა დაუკეტო და
დიუბეჭდო ყველაფერი და თუ რამე მისცე — ზომით
და მრისხანედ და მოილე ყოველი წერილითა. (ზი-
რაქ. 42, 6).



პ. შარაძესა და ამხანაგობის სტამბის გამოცემული წიგნები:

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
| ფილოსოფოსი სოკრატი, მესამე გამოც., ფასი. | 5 კ. |
| ცხოვრება ლირსისა მარიამ ეგვიპტელისა, მესამე გამოცემა, ფასი | 5 " |
| ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის ფილარეტისა, მესამე გამოცემა, ფასი | 5 " |
| ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა, მესამე გამოცემა, ფასი 5, | 5 " |
| ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა, მესამე გა- მოცემა, ფასი | 5 " |
| ცხოვრება წმ. ქალწულ-მოწამისა თებრონესი, მ. შარაძის-მიერ ქართულიდამ გადმოღებული, მეორე გამოცემა, ფასი 5, | 5 " |
| ცხოვრება თეოდორე ჯვარ მტვირთველისა, მეორე გამოცემა, ფასი. | 5 " |
| სიბრძნე ბალავარისა, პირველი გამოცემა, ფასი | 10 " |

წეალ-წმინდის ქმნის გამოცემული წიგნები:

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| ლირსნი მამანი მეუღაბნოელნი ფასი | 5 " |
| ანბანი მხატვრობით ჭ ლოცვანი, მესამე გამოც. ფასი 5, | |
| ცხოვრება ქალწულ-მოწამისა პარასკევასი, შარაძის-მიერ გად- მოღებული, მეორე გამოცემა ფასი. | 5 " |
| ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები, ა. ნიკიტინის თარგ- მანი, მეორე გამოცემა ფასი | 5 " |
| ცხოვრება ლირსისა სიმონ მესვეტისა, ა. ნიკიტინის თარგმანი მეორე გამოცემა ფასი | 5 " |
| წმიდა იოანე მოწყალე, თ. სახოკიას თარგმანი, მეორე გამო- ცემა ფასი. | 5 " |
| წმიდა დიდი მოწამე ეკატერინე, თ. სახოკიას თარგმანი მეორე გამოცემა ფასი | 5 " |
| ცხოვრება ქალწულ-მოწამეთა პისტისა, ელპიდისა, ალაპისა და დედისა მათისა სოფისი, ფასი | 5 " |
| ცხოვრება ლირსისა დედისა პელაგიასი ფასი | 3 " |

Y 862

შორჩილის რაჭდენ ბარამიძის გამო
წიგნები:

ცხოვრება წმიდისა ღირსისა დედისა, მოციქულთა სწორისა და
მართველთა-განმანათლებელისა ნინოსი მეორე გამ.ფასი 5 „
ცხოვრება წმ. ქალწულ-მოწამისა მარინესი, მეორე გამოცემა
ფასი 5 „

ცხოვრება ღირსისა და ნეტარისა თეოდორა, ალექსანდრიელისა
მეორე გამოცემა ფასი 5 „

ცხოვრება წმ. ღიდისა მოწამისა ევსტატისა, (პლაკიდესი)
მეორე გამოცემა ფასი 5 „

ცხოვრება ქალწულ-მოწამისა და მოციქულთა სწორისა თეკ-
ლესი, ფასი 5 „

ცხოვრება ღირსისა/ ალექსი ლვთის კაცისა, მესამე გამოცემა
ფასი. 5 „

ცხოვრება წმ. ღიდისა მოწამისა იაკობ დაჭრილისა, მეორე
გამოცემა ფასი 5 „

ცოლ-ქმრობა, შედგენილი მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ,
ფასი 5 „

ყველა ეს წიგნები, დაკლებულის ფასით, ისყიდება მ.
შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩაზე
№ 21, ქ. ტფილისს.

